- სასურველია სასწავლო პროგრამას დაემატოს მენეჯმენტის და მარკეტინგის კურსები დარგის/მიმართულების შესაბამისად (თავისუფალი კომპონენტების სახით მაინც) ან შესაბამისი საკითხები შევიდეს „ფარმ.საქმის ორგანიზაციაში პრაქტიკით“;

- კურსი „ფარმაცევტული დახმარება“ ძირითადად კლინიკური ფარმაცია და შესაბამისად სასურველია შეეცვალოს დასახელება, მით უმეტეს, რომ ფარმაცევტული დახმარება არ მოიცავს მხოლოდ კლინიკური ფარმაციის საკითხებს;
- სასურველია თავისუფალი კომპონენტების მოდულში შემავალი კურსები: მათემატიკა, ფიზიკა I, ფიზიკა II, ტექნიკური ხაზვა, არაორგანული ქიმია II – შეიცვალოს სამედიცინო და ფარმაცევტული პროფილის კურსებით, ვინაიდან „ფარმაცია“ მიეკუთვნება ჯან.დაცვის მიმართულებას და სპეციალისტის ფორმირებისთვის თავისუფალი კომპონენტების უფრო ლოგიკური გადანაწილება იქნებოდა შესაძლებელი, მით უმეტეს, რომ მათი შესწავლა არალოგიკურია, როცა სტუდენტს ნასწავლი აქვს უმაღლესი მათემატიკა, ქიმიური მეცნიერებების მთელი ციკლი, სამედიცინო ფიზიკა–ბიოფიზიკა და ა.შ;
- სასურველია დაიხვეწოს კურსის „შესავალი ლექციები და გაცნობითი პრაქტიკა ფარმაციაში“ – შინაარსი და შესაბამებოდეს კურსის მიზანსა და შედეგებს;
- სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი, კერძოდ ან გამოტანილ იქნას ცალკე კურსებად, ან სხვადასხვა კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული პრაქტიკა გარკვეულწილად ფიგურირებდეს შეფასების კომპონენტებში;
- სასურველია გაერთიანდეს კურსები „ანალიზური ქიმია და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები“ და „ანალიზური ქიმია (თვისებითი ანალიზი)“, ვინაიდან რეალურად ეს კურსები ერთი მთლიანის ნაწილია;
- სასურველია კურსის დასახელება „კოორდინაციული ქიმია ფარმაციაში“, შეიცვალოს „კომპლექსნაერთების ქიმიით“ და გადანაცვლდეს ერთი სემესტრით მაინც წინ, ვინაიდან ანალიზური ქიმიის შესწავლისათვის ეს კურსი რეალურად წინაპირობას წარმოადგენს;
- სასურველია პროგრამაში და სილაბუსებში მითითებულ იქნას შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო, მით უმეტეს, რომ ეს დრო საკონტაქტო საათებს მიეკუთვნება და შესაბამისად გარკვეულ კორექციას მოითხოვს დამოუკიდებელი საათებიც;
- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით მოახდინა განმარტება და აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების სიმრავლის გამო, დაწესებულებისა და ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა კონსულტაციები, რის შედეგადაც დადგინდა რომ არსებული პროგრამა მიუხედავად ხარვეზებისა შესაბამისობაში იყო აკრედიტაციის სტანდარტებთან.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფარმაცია საზღვარგარეთ არ შედიოდა ჯანდაცვის სფეროში, მისი განმარტებით, თავდაპირველად პროგრამის ორიენტაცია ხდებოდა სწორედ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით და მხოლოდ, კანონმდებლობის ცვლილების შემდეგ მოხდა მისი ორიენტირება ჯანდაცვის სფეროზე და მოდიფიცირება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 50. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ფარმაციის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსები, მოდულების, კვლევითი კომპონენტები) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია დაიხვეწოს რიგი კურსების სწავლის შედეგების კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით (მაგ: ლათინური ტერმინოლოგია არ უზრუნველყოფს კომუნიკაციის უნარის განვითარებას; ბიოეთიკა – განავითარებს კომპიუტერის და საოფისე პროგრამების გამოყენების უნარს და ა.შ.)

- ზოგიერთი კურსის (ფარმაცევტული ქიმია, ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაცოგნოზია) შინაარსი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტსაც, რომლის წილი შეფასებაში და სწავლის შედეგების განსაზღვრაში ცოტა ბუნდოვანია.

- აღსანიშნავია, რომ რიგი კურსების (ფარმ.ქიმია, ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაცოგნოზია და სხვ.) სილაბუსებში მითითებული კრედიტების მოცულობა (6კრ.) და საკონტაქტო საათების რაოდენობა არ შეესაბამება პროგრამაში მითითებული კრედიტების (5 კრ.) და საათების რაოდენობას. სასურველია პროგრამაში არსებულ სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში მითითებულ იქნას შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო, მით უმეტეს, რომ ეს დრო საკონტაქტო საათებს მიეკუთვნება და შესაბამისად გარკვეულ კორექციას მოითხოვს დამოუკიდებელი საათებიც.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, მათი ქრონოლოგიური წყობა, შინაარსი და თანმიმდევრობა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ფარმაციის სამაგისტრო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღწერის სათანადო დონით. პროგრამის კომპონენტები განლაგებულია შემდეგი სქემის მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამა "ფარმაცია" -ს მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი – სულ 75 კრედიტი, მათგან ზოგადი კურსი – 50 კრედიტი; სპეციალიზაციის განმსაზღვრელი კურსები – 25 კრედიტი; კვლევითი კომპონენტები – სულ 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი – 5 კრედიტი, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი – 15 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა – 30 კრედიტი;

- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“ მიხედვით: პუნქტი.1.2. „კვლევითი კომპონენტის ძირითადი მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადება, აგრეთვე პირის მომზადება მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის“ – მაშინ

გაურკვეველია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი რა მიზანს ემსახურება, მაშინ როცა „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ განსაზღვრავს: „მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის“ შესაბამისად, ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას ემსახურება სამაგისტრო პროგრამა სრულად და არა მხოლოდ კვლევითი კომპონენტი, ამიტომ სასწავლო კომპონენტში უნდა გაძლიერდეს კონკრეტულის სპეციალიზაციის საგნების მოცულობა, მით უმეტეს, რომ ზოგადი ხასიათის სასწავლო კურსები ისწავლება 2 სემესტრის განმავლობაში, მაშინ როცა პროსპექტუსი, როგორც კვლევითი კომპონენტის ნაწილი, უნდა შესრულდეს II სემესტრში და ეს ნიშნავს, რომ მაგისტრანტს I სემესტრის ბოლოს მაინც, უკვე უნდა ჰქონდეს განსაზღვრული საკუთარი სპეციალიზაცია.

რაც შეეხება ზოგადი ხასიათის სასწავლო კურსებს, მოითხოვს კორექციას, ვინაიდან რიგი კურსების (მაგ. ლათინური ტერმინოლოგია, ფარმ. ქიმია და. სხვ.) შინაარსი და სწავლის შედეგები მეტ-ნაკლებად დუბლირებულია და იმეორებს ბაკალავრიატის კურსებს, მაშინ როცა, სასურველია რაიმე სახით (ან ცალკეული კურსის, კურსის შინაარსის შემდაგენლობაში) ისწავლებოდეს, კვლევის თანამედროვე მეთოდები (კოსმეტოლოგია-პარფიუმერიის. სამრეწველო ტექნოლოგიის მიმართულებით მაინც, ვინაიდან ფარმაცევტულ ანალიზში გარკვეული კვლევის მეთოდები შეისწავლება).

- სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი (კომელიც შედის სხვადასხვა კურსების, მაგ: ფარმ. ქიმია, ფარმაცოგნოზია, ფარმაცევტული ტექნოლოგიები – შინაარსებში), კერძოდ ის ან გამოტანილ იქნას ცალკე კურსებად, ან სხვადასხვა კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული პრაქტიკა გარკვეულწილად ფიგურირებდეს შეფასების კომპონენტებში, რათა რეალურად დადგინდეს კურსდამთავრებულისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობა და შესაბამისად ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

- საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების ათვისების შემდეგ სტუდენტს გამოუმუშავდება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რაც კონკრეტული პროფილით დასაქმების წინაპირობას წარმოადგენს, თუმცა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული კვალიფიკაცია „ფარმაციის მაგისტრი“ სპეციალიზაციის მიხედვით დაყოფილია 3 ნაწილად: ა) ფარმაციის მაგისტრი ფარმაცევტული ანალიზის სპეციალიზაციით; ბ) ფარმაციის მაგისტრი სამრეწველო ფარმაციის სპეციალიზაციით; გ) ფარმაციის მაგისტრი ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერიის სპეციალიზაციით; – ხოლო რაც შეეხება სწავლის შედეგებს შესაძლო სპეციალიზაციის ყველა მოდულისთვის გაწერილია ერთიანად (თუმცა გაწერილია ექვსივე კომპეტენცია როგორც ზოგადი ასევე, დარგობრივი), მაგრამ კონკრეტულად სპეციალიზაციის მიხედვით სწავლის შედეგები ჩაღილი არ არის, რაც თავის მხრივ ბუნდოვანს ხდის, ცალკეული სპეციალიზაციის ფარგლებში როგორ განისაზღვრება კურსდამთავრებულისთვის სწავლის შედეგები, თუ შეთავაზებულ ყველა მოდულს ერთდროულად მაგისტრანტი ბუნებრივია ვერ გაივლის.

- კვალიფიკაციაში სპეციალიზაციის სამ ნაწილად გამოყოფა მოითხოვს სწავლის შედეგების დაკონკრეტებას თითოეული სპეციალიზაციისათვის, ასევე სასურველია ცალკე მიეთითოს დასაქმების სფერო შრომის ბაზარზე ორიენტაციისათვის.

- ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგები მოითხოვს შემდგომ სრულყოფას რიგი უზუსტობების აღმოფხვრის მიზნით, გამახვილდეს ყურადღება კომპეტენციებზე: ცოდნა-გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რათა კურსდამთავრებულისთვის მიღებული კვალიფიკაცია იძლეოდეს სწავლის გაგრძელების საშუალებას განათლების შემდგომ საფეხურზე და იგი იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე.

- საგანმანათლებლო პროგრამიდან ირკვევა, რომ მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს რა საგანში (ან საგნებში) ჩატარდება სტუ-ს მიერ განსაზღვრული სამაგისტრო გამოცდები, რათა ინფორმაცია უფრო გამჭვირვალე იყოს და უზრუნველყოს შესაბამისი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც განაპირობებს მაგისტრანტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შეფასების მეთოდები ყველა სილაბუსში არის ერთგვაროვანი, მოიცავს ყოველკვირეულ შუალედურ შეფასებას, შუალედურ გამოცდას და დასკვნით გამოცდას.

- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები იყოს მრავალფეროვანი და მიუხედავად სტუ-ში არსებული ერთიანი მარეგულირებელი დოკუმენტისა („სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები“, რომელიც ვებ-გვერდზეცაა განთავსებული) სილაბუსებშივე მიეთითებოდეს 100 ქულიანი შეფასებიდან თითოეულ მეთოდზე რამდენი ქულაა გაწერილი.

- ცოდნის შეფასების სისტემა ზოგადად გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც რეგულირდება აერთიანი საუნივერსიტეტო დოკუმენტით (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის №732 დადგენილებით – სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები\*), როგორც სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა (ინფორმაციის წყაროს წარმოდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი) და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის (ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე, ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პერმანენტულად გადაამოწმონ ელექტრონული უწყისები).

- თუმცა შეფასების სისტემის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით სასურველია, არსებული და სხვადასხვა დოკუმენტებში გაბნეული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაცია მითითებული იყოს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის კურსების სილაბუსებში. კერძოდ, ამა თუ იმ კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონის დასადგენად შეფასების რა კრიტერიუმი გამოიყენება და ეს კრიტერიუმი რა ხვედრითი წილით მონაწილეობს 100 ქულიან სისტემაში,

- ასევე სასურველია, პროგრამაში ან სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების კრიტერიუმები და განმეორებით გამოცდაზე სტუდენტის გასვლის შესაძლებლობის ვადები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 51. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის სტრუქტურა იყოს უფრო მკაფიო. კერძოდ, პროგრამაში არსებული მოკლე ციკლის გავლისას ხორციელდება შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება, თუმცა პროგრამაში ცალკე არ არის გაწერილი შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაბამისი სწავლის შედეგები.
- სასურველია გაუქმდეს საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული შუალედური კვალიფიკაცია ან შესაბამისად, კონკრეტულად გაიწეროს სწავლის შედეგები, დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა „ფარმაციის ბაკალავრის შუალედური კვალიფიკაციის“ მინიჭებისას.
- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები იყოს მრავალფეროვანი.
- სასურველია, კურსების სილაბუსებში მითითებული იყოს კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასების რა კრიტერიუმი გამოიყენება (სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად, რეკომენდაციების საფუძველზე კურსის პედაგოგს შეძლია შეარჩიოს შესაბამისი კრიტერიუმი) და რა ხვედრითი წილით მონაწილეობს იგი 100 ქულიან სისტემაში, რაც თავისთავად უფრო გამჭვირვალეს გახდიდა შეფასების სისტემას.
- სასურველია, პროგრამაში ან სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობები და განმეორებით გამოცდაზე სტუდენტის გასვლის შესაძლებლობის ვადები.
- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს უცხო ენის (6 კრ.) სწავლების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულს მიიღოს უცხო ენის შესაბამისი დონის სერტიფიკატი.
- პროგრამაში მოცემული კურსების: „ზოგადი სამედიცინო ბიოლოგიის“ და „კერძო სამედიცინო ბიოლოგიის“ მიზანი და სწავლის შედეგები იდენტურია, შინაარსი კი განსხვავებული. შესაბამისად აღნიშნული კურსების სილაბუსები დასახვეწია.
- სასურველია პროგრამიდან ამოღებულ იქნას კურსი „მცენარეთა ბიოქიმია“ და მის ნაცვლად ჩაისვას „სამედიცინო ბიოქიმია“, მით უმეტეს რომ „მცენარეთა ბიოქიმიის“ სილაბუსში მითითებული კურსის მიზანი და სწავლის შედეგები უფრო შეესაბამება „სამედიცინო ბიოქიმიას“, შინაარსი კი განსხვავებულია. „მცენარეთა ბიოქიმია“ წარმოადგენს „ფარმაცოგნოზის“ ნაწილს და შეიძლება საკითხების სახით შევიდეს კურსის შინაარსში. „სამედიცინო ბიოქიმია“ კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს „ფარმაცოლოგიის“ შესწავლისათვის.
- შესაბამისად პროგრამაში გადასახედია კურსზე დაშვების წინაპირობების მატრიცა (მაგ. ზოგადი პათოლოგიის წინაპირობაა ადამიანის ანატომია მხოლოდ და არა ადამიანის ფიზიოლოგია, მაშინ როცა, კურსი ძირითადად პათ.ფიზიოლოგიას მოიცავს)
- სასურველია კურსი „ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია პრაქტიკით“ არჩევითი მოდულიდან გადატანილ იქნას სავალდებულო კურსებში, ვინაიდან ის ძალზედ მნიშვნელოვანია ფარმაციის ბაკალავრის ფორმირების პროცესში.
- სასურველია სასწავლო პროგრამას დაემატოს მენეჯმენტის და მარკეტინგის კურსები დარგის/მიმართულების შესაბამისად (თავისუფალი კომპონენტების სახით მაინც) ან შესაბამისი საკითხები შევიდეს „ფარმ.საქმის ორგანიზაციაში პრაქტიკით“.

- კურსი „ფარმაცევტული დახმარება“ ძირითადად კლინიკური ფარმაცია და შესაბამისად სასურველია შეეცვალოს დასახელება, მით უმეტეს, რომ ფარმაცევტული დახმარება არ მოიცავს მხოლოდ კლინიკური ფარმაციის საკითხებს.
- სასურველია თავისუფალი კომპონენტების მოდულში შემავალი კურსები: მათემატიკა, ფიზიკა I, ფიზიკა II, ტექნიკური ხაზვა, არაორგანული ქიმია II – შეიცვალოს სამედიცინო და ფარმაცევტული პროფილის კურსებით, ვინაიდან „ფარმაცია“ მიეკუთვნება ჯან.დაცვის მიმართულებას და სპეციალისტის ფორმირებისთვის თავისუფალი კომპონენტების უფრო ლოგიკური გადანაწილება იქნებოდა შესაძლებელი, მით უმეტეს, რომ მათი შესწავლა არალოგიკურია, როცა სტუდენტს ნასწავლი აქვს უმაღლესი მათემატიკა, ქიმიური მეცნიერებების მთელი ციკლი, სამედიცინო ფიზიკა–ბიოფიზიკა და ა.შ.
- სასურველია დაიხვეწოს კურსის „შესავალი ლექციები და გაცნობითი პრაქტიკა ფარმაციაში“ – შინაარსი და შესაბამებოდეს კურსის მიზანსა და შედეგებს.
- სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი, კერძოდ ან გამოტანილ იქნას ცალკე კურსებად, ან სხვადასხვა კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული პრაქტიკა გარკვეულწილად ფიგურირებდეს შეფასების კომპონენტებში.
- სასურველია გაერთიანდეს კურსები „ანალიზური ქიმია და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები“ და „ანალიზური ქიმია (თვისებითი ანალიზი)“, ვინაიდან რეალურად ეს კურსები ერთი მთლიანის ნაწილია.
- სასურველია კურსის დასახელება „კოორდინაციული ქიმია ფარმაციაში“, შეიცვალოს „კომპლექსნაერთების ქიმიით“ და გადანაცვლდეს ერთი სემესტრით მაინც წინ, ვინაიდან ანალიზური ქიმიის შესწავლისათვის ეს კურსი რეალურად წინაპირობას წარმოადგენს.
- სასურველია პროგრამაში და სილაბუსებში მითითებულ იქნას შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო, მით უმეტეს, რომ ეს დრო საკონტაქტო საათებს მიეკუთვნება და შესაბამისად გარკვეულ კორექციას მოითხოვს დამოუკიდებელი საათებიც.
- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20:55 -სთ ზე

სხდომა განახლდა 21:20- სთ ზე

## 52. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის სასწალო გეგმაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში იყოს მითითებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათების რაოდენობა;

- სასურველია სასწავლო კურსი "აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი) გაიყოს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად "აკადემიური წერა" და "სამეცნიერო კვლევის მეთოდები";

- საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ კუთხით, საწყის ეტაპზე სასურველია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### **53. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### **54. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოდეზიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოდეზიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოდეზიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 55. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უსაფრთხოების ინჟინერიისა და რისკების შეფასების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უსაფრთხოების ინჟინერიისა და რისკების შეფასების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უსაფრთხოების ინჟინერიისა და რისკების შეფასების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 56. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის სასწალო გეგმაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში იყოს მითითებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათების რაოდენობა;
- სასურველია სასწავლო კურსი "აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი) გაიყოს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად "აკადემიური წერა" და "სამეცნიერო კვლევის მეთოდები";
- სასურველია სასწავლო კურსში "სამეცნიერო კვლევის მეთოდები" აისახოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი კვლევის მეთოდები;
- საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ კუთხით, საწყის ეტაპზე სასურველია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 57. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ კუთხით, საწყის ეტაპზე სასურველია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 58. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ კუთხით, საწყის ეტაპზე სასურველია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება;
  - სასურველია მოხდეს პროგრამის სასწავლო დისციპლინების დასახელებების ცვლილება საერთაშორისო მასშტაბით ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის (შესაბამისი სპეციალიზაციების) სფეროში მიღებული დისციპლინების დასახელებათა მიხედვით;
  - სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში იყოს მითითებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების საათების რაოდენობა;
  - სასურველია სასწავლო კურსი "აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი) გაიყოს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად "აკადემიური წერა" და "სამეცნიერო კვლევის მეთოდები";
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**59. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის, მანქანათმშენებლობის და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის, მანქანათმშენებლობის და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის, მანქანათმშენებლობის და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **60. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **61. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მართალია ცოდნის შეფასების სისტემა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, თუმცა სასურველია მისი მითითება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსშიც;
- დოქტორანტურის პროგრამაში სასურველია იყოს გაწერილი დოქტორანტურაში კვლევისათვის განსაზღვრული ფინანსური უზრუნველყოფის ამსახველი ინფორმაცია და არა ზოგადად მითითება ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

